

ეკონომიკური აგენტის მხარდაჭერის პროგრამა

განმახორციელებელი: სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით
უზრუნველყოფის სააგენტო,

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ განხორციელებული
პროექტის

„მოწვევადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის
ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (EPIC)“

მხარდაჭერით

სარჩევი

შესავალი.....	3
1. პროგრამის მიზანი.....	4
2. პროგრამის შედეგი	4
3. პროგრამის აღწერა	4
3.1. ბიზნეს გეგმების წარმოდგენა.....	5
3.2. ბიზნეს გეგმების შემოწმება და განხილვა	7
3.3. ბიზნეს გეგმების შეფასება და გამარჯვებულების გამოვლენა	8
3.4. პროგრამის გავრცელების არეალი	15
3.5. პროგრამის ხანგრძლივობა.....	15
4. პროგრამის ბიუჯეტი	15
5. პროგრამის მონიტორინგი.....	15

შესავალი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები (შემდგომში - დევნილი) და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახები მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ მიდგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ.

დევნილთა და ეკომიგრანტთა ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ განხორციელებული პროექტის „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (EPIC)“ მხარდაჭერით ახორციელებს წინამდებარე პროგრამას.

პროგრამა განკუთვნილია დევნილებისა და იმ ეკომიგრანტი ოჯახებისათვის, რომლებზედაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანების შესაბამისად, გამოცემულია საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ ბრძანება (შემდგომში - ეკომიგრანტი).

1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მოწყვლადი დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების და ახალგაზრდების, შემოსავლის გაზრდა, დევნილთა და ეკომიგრანტთა სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, მათი სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

2. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად, დაფინანსდება 26 მიკრო, მცირე ან საშუალო მეწარმე, რომლებიც თავის მხრივ დაასაქმებენ მინიმუმ 26 დევნილს/ეკომიგრანტს.

3. პროგრამის აღწერა

პროგრამის განხორციელების შედეგად, მხარდაჭერილი იქნება დევნილებისა და ეკომიგრანტების მიერ სამიზნე რეგიონებში მართული სამეწარმეო საქმიანობა, რათა გაიზარდოს მათი საწარმოების ბრუნვა, განხორციელდეს სერვისების გაზრდა/გაფართოება, პროდუქციის/მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება ან/და ახალი მომხმარებლის მოზიდვა, ასევე, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. გარდა ამისა, პროგრამის მიზანია, მოხდეს ქალებისა და შშმ პირების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის წახალისება. პროგრამის ფარგლებში, ეკონომიკური აგენტი (შემდგომში - მეწარმე) მიიღებს მხარდაჭერას სამეწარმეო საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ამ მიზნით, შეძენილი იქნება მეწარმის მოთხოვნის შესაბამისად, საჭირო საოპერაციო აქტივი (ძირითადი საშუალება) არაუმეტეს 5 ერთეულის ოდენობით შესაბამისი მომსახურებით, რომლის თაობაზე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ინვოისი.

ინვოისით გათვალისწინებული ძირითადი საშუალების ჯამური ღირებულება (თუ შეძენა ხორციელდება თანმდევი მომსახურებით, მის ჩათვლით) უნდა იყოს არაუმეტეს 7 500 ლარის ფარგლებში. ამასთანავე, თითო ნივთის ღირებულება არ უნდა იყოს 300 ლარზე ნაკლები. თუ მოთხოვნილია, ერთიდაიმავე ნივთის ერთზე მეტი ოდენობით შეძენა, ასეთ შემთხვევაში, არ გავრცელდება რაოდენობრივი შეზღუდვა.

მეწარმემ მხარდაჭერის მიღების შემდეგ, არანაკლებ 6 თვის ვადით უნდა დაასაქმოს მინიმუმ 1 პირი. დასაქმებული იყოს დევნილი ან/და ეკომიგრანტი.

პროგრამის ფარგლებში, დასაშვებია მხოლოდ საოპერაციო აქტივის (ძირითადი საშუალების) შეძენა. ამასთან, ნივთის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში დაშვებულია შეძენა თანმდევი მომსახურებით (ტრანსპორტირება და მონტაჟი). შესაძენად მოთხოვნილი ძირითადი საშუალება და თანმდევი მომსახურების ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით დადგენილ ზღვრებს. ასევე, შესაძენად მოთხოვნილი ნივთი ხელმისაწვდომი

უნდა იყოს საქართველოს მასშტაბით და უნდა იყოს ახალი. დაუშვებელია, მეორადი ნივთების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში, არ ფინანსდება ნებისმიერი ქონების/მომსახურების შექმნა, რომელიც არ გულისხმობს საოპერაციო აქტივის (ძირითადი საშუალების) შექმნას ან/და არ შეესაბამება ეკონომიკური აგენტის საქმიანობას და პროგრამის მიზანს. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში, არ ფინანსდება მეწარმე (განმცხადებელი), რომელსაც მიღებული აქვს დაფინანსება ამავე პროგრამის ფარგლებში.

პროგრამა განხორციელდება შემდეგ რეგიონებში: სამეგრელო, ზემო სვანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი.

პროგრამის ფარგლებში, მხარდაჭერას სააგენტო ახორციელებს სუბსიდირების გზით.

პროგრამა ხორციელდება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეკონომიკური აგენტის მიმართ, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მიიჩნევა მეწარმე სუბიექტად (ინდ. მეწარმე, შპს, სპს, კს, სს, კორპორაცია, კოოპერატივი) და ფიზიკური პირის მიმართ, რომელსაც „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ შესაბამისად, აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი. ამასთანავე, ფიზიკური პირი ეკონომიკური აგენტი უნდა იყოს დევნილი ან ეკომიგრანტი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - დევნილი ან/და ეკომიგრანტი პარტნიორი ინდივიდუალურად ან ჯამში ასეთი პარტნიორები უნდა ფლობდნენ არანაკლებ 51 პროცენტს წილს/აქციას.

3.1. ბიზნეს გეგმების წარმოდგენა

პროგრამაში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა მეწარმემ უნდა შეავსოს პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ბიზნეს გეგმა (**დანართი N1**) და დადგენილ ვადაში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს სააგენტოში ან სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებში, შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა;
2. ქ. გორი, სამების ქუჩა N1;
3. ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ. N5ა;
4. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27;
5. ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106.

ან შევსებული და დასკანერებული სახით, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გამოგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: info@idp.gov.ge.

ბიზნეს გეგმას თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. მეწარმე იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში - მიღების ვადაში განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის შემთხვევაში - რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან;

2. ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არ არსებობის შესახებ;
3. ცნობა სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროდან - ეკონომიკური აგენტის მოვალეთა რეესტრში არყოფნის შესახებ;
4. ეკონომიკური აგენტი ფიზიკური პირის ან ეკონომიკური აგენტი იურიდიული პირის პარტნიორი დევნილის/ეკომიგრანტის პირადობის/პასპორტის ასლი;
5. საწარმოს რამდენიმე პარტნიორის შემთხვევაში, ყველა მათგანის თანხმობა პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე. მათი ხელმოწერები უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული.
6. ბიზნეს გეგმების მიღების ვადაში გაცემული ინვოისი ყველა იმ ნივთ(ებ)ზე, რომლის შექმნაც მოთხოვნილია;
7. საქმიანობის აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შემოსავლების შესახებ ცნობა ან/და ცნობა ბრუნვის შესახებ ან/და დეკლარაცია ან/და ბუღალტრული დოკუმენტაცია, სალარო აპარატის დამადასტურებელი დოკუმენტი), რომელიც შეიძლება ჰქონდეს ბოლო 3 წლის მანძილზე;
8. თუ განმცხადებელი ან/და საწარმოს პარტნიორი ან/და ოჯახის წევრი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - ბიზნეს გეგმას თან უნდა დაერთოს შესაბამისი პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დამდგენი დოკუმენტი ან სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოდან აღებული ცნობა;
9. თუ განმცხადებელი ან/და საწარმოს პარტნიორი ან/და ოჯახის წევრი არის მარტოხელა მშობელი - სტატუსის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობის ასლ(ებ)ი, თუ მამის მონაცემები არ არის დაფიქსირებული; თუ მამის მონაცემები დაფიქსირებულია შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობაში დედის მითითების საფუძველზე, დაბადების მოწმობის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა/გადაწყვეტილება მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ.

ბიზნეს გეგმა წარმოდგენილი უნდა იქნეს ეკონომიკური აგენტის უფლებამოსილი პირის მიერ. ამავე დროს, უფლებამოსილი პირი უნდა იყოს პარტნიორი დევნილი ან ეკომიგრანტი.

ცალკეული ბიზნეს გეგმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ ეტაპზე, შესაძლებელია მოხდეს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნა. მათ შორის, ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ნებართვის/ლიცენზიის და ა.შ. არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეკონომიკურ აგენტებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

მეწარმეს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ბიზნეს გეგმა. ამავე დროს, ერთიდაიმავე ოჯახიდან შესაძლებელია მხოლოდ 1 ბიზნეს გეგმის წარმოდგენა.

3.2. ბიზნეს გეგმების შემოწმება და განხილვა

წარმოდგენილ ბიზნეს გეგმებს ამოწმებს სააგენტოს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) და განიხილავს პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია. კომისიის შემადგენლობაშია სააგენტოს და პროექტის „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (EPIC)“ წარმომადგენლები და მოწვეული სპეციალისტები.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს წარმოდგენილი ბიზნეს გეგმების შემოწმებას და დადგენას, რამდენად შესაბამისია პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

დეპარტამენტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების ეტაპზე, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოსთხოვოს მას ბიზნეს გეგმაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულოდ წარმოსადგენი ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან/და ინფორმაციის დაზუსტება. ამავდროულად, მოთხოვნილი დოკუმენტაცია პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის მიზნების განხორციელებასთან. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რა მიზნით ითხოვს დეპარტამენტი დოკუმენტაციის წარდგენას. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით.

დეპარტამენტი არ გადასცემს კომისიას ბიზნეს გეგმას განსახილველად და იღებს გადაწყვეტილებას ბიზნეს გეგმის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ის არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან განმცხადებელმა განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი ან/და არ დააზუსტა ან/და არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია; განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა პროგრამაში მონაწილეობაზე; არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რის გამოც ბიზნეს გეგმის განხილვას შედეგი არ ექნება.

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

1. ბიზნეს გეგმა წარმოდგენილია უფლებამოსილი დევნილი ან ეკომიგრანტი პირის მიერ, დადგენილ ვადაში, ხელმოწერილია, შევსებულია სრულყოფილად და თანდართულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია, მათ შორის, წარმოდგენილია დამატებითი მოთხოვნილი დოკუმენტაცია;
2. ბიზნეს გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს ეკონომიკური აგენტის მიერ: დევნილი ან ეკომიგრანტი, რომელსაც „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ შესაბამისად, აქვს მიკრო ბიზნესის სტატუსი; დევნილი ან ეკომიგრანტი ინდივიდუალური მეწარმე (შესაძლოა ჰქონდეს მცირე ბიზნესის სტატუსი); „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა მეწარმე სუბიექტები, რომელთა პარტნიორია დევნილი

ან/და ეკომიგრანტი, რომელიც ინდივიდუალურად ან ჯამში ასეთი პარტნიორები ფლობენ არანაკლებ 51 პროცენტს წილს/აქციას.

3. ბიზნეს გეგმა უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის სამიზნე რეგიონში მომუშავე ეკონომიკური აგენტის საქმიანობის გაუმჯობესებას და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას - მინიმუმ ერთი დევნილის ან ეკომიგრანტის დასაქმებას;
4. ეკონომიკური აგენტი რეგისტრირებული უნდა იყოს 2021 წლის 1 სექტემბრამდე; მიკრო ბიზნესის სტატუსი ფიზიკურ პირს მიღებული უნდა ჰქონდეს 2021 წლის 1 სექტემბრამდე; იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური აგენტი იურიდიული პირია მისი პარტნიორი დევნილი/ეკომიგრანტი პარტნიორად რეგისტრირებული უნდა იყოს 2021 წლის 1 სექტემბრამდე;
5. მეწარმე არ უნდა იყოს აღრიცხული მოვალეთა რეესტრში და არ უნდა ჰქონდეს საგადასახადო დავალიანება;
6. ბიზნეს გეგმით შესაძენად მოთხოვნილი ძირითადი საშუალებების (თუ შეძენა ხორციელდება თანმდევი მომსახურებით, მის ჩათვლით) ღირებულება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯამურად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით დადგენილ ზღვრებს.
7. ბიზნეს გეგმა არ უნდა ითვალისწინებდეს ისეთი საქმიანობის მხარდაჭერას, რომელიც პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება;
8. მეწარმის საქმიანობა უნდა იყოს აქტიური, მინიმუმ ერთი აქტივობა უნდა ფიქსირდებოდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში.

3.3. ბიზნეს გეგმების შეფასება და გამარჯვებულების გამოვლენა

შემოწმების ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, დეპარტამენტის მიერ პირველადი შეფასების კრიტერიუმებით შეფასებული განაცხადები წარედგინება პროგრამის ფარგლებში შექმნილ კომისიას (შემდგომში - კომისია), რომელიც წარმოდგენილი ბიზნეს გეგმების სიმრავლისა და იმ რაოდენობის გათვალისწინებით, რამდენი გამარჯვებულიც უნდა გამოვლინდეს ადგენს მინიმალური ქულის ზღვარს.

ა) პირველადი შეფასების კრიტერიუმები:

N	კრიტერიუმი	ქულა
1.	განმცხადებელი ან/და საწარმოს დევნილი/ეკომიგრანტი პარტნიორი ან/და მათი ოჯახის წევრი არის შშმ პირი ან/და მარტოხელა მშობელი (სააგენტოს შესაბამის მონაცემთა ბაზასა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით)	კი - 0.5 ქულა არა - 0 ქულა
2.	განმცხადებელი ან/და საწარმოს დევნილი/ეკომიგრანტი პარტნიორი არის ქალი ან/და მრავალშვილიანი მშობელი (3 და მეტი არასრულწლოვანი შვილით) (სააგენტოს შესაბამის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით)	კი - 0.5 ქულა არა - 0 ქულა

3.	ბიზნესის რეგისტრაციის თარიღი	<p>2018 - 2021 წლები - 1 ქულა</p> <p>2017 - 2010 წლები - 0.5 ქულა</p> <p>2009 წელი და ნაკლები - 0 ქულა</p>
4.	დაფინანსების შემთხვევაში, ახალი პირების დასაქმებულთა რაოდენობა	<p>1 დასაქმებული - 0 ქულა</p> <p>2 დასაქმებული - 0.5 ქულა</p> <p>3 და მეტი დასაქმებული - 1 ქულა</p>
5.	დაფინანსების შემთხვევაში, ახალი დასაქმებული პირებიდან არის შშმ პირი ან/და ქალი	<p>კი - 0.5 ქულა</p> <p>არა - 0 ქულა</p>
6.	მოთხოვნილი ძირითადი საშუალებების გამოყენება მეწარმის მიერ დაგეგმილია:	<p>სრული დატვირთვით, სტაბილურად - 1 ქულა</p> <p>სეზონურად/იშვიათად/მხოლოდ განსაკუთრებული სპეციფიური სამუშაოსთვის - 0.5 ქულა</p>
7.	პანდემიის გავლენა სამეწარმეო საქმიანობაზე:	<p>სახელმწიფო რეგულაციების მიზეზით, უნდა შეეჩერებინა, თუმცა, საქმიანობის გარკვეული ასპექტის ცვლილებით, მოერგო რეგულაციებს და მოახერხა საქმიანობის გაგრძელება - 1.5 ქულა</p> <p>სახელმწიფოს რეგულაციებით ან პირადი გადაწყვეტილებით, პანდემიის გამო, შეჩერებული ჰქონდა - 1 ქულა</p>

		არ შეუჩერებია საქმიანობა - 0.5 ქულა
8.	მეწარმე ფიზიკური პირის/იურიდიული პირის მეწარმის განმცხადებელს ან/და პარტნიორების ან/და ოჯახის წევრების მიერ სააგენტოს პროგრამების ფარგლებში მიღებული სარგებელი	არ მიუღია დაფინანსება ნატურის სახით - 1 ქულა მიღებული აქვს სარგებელი ნატურის სახით, ერთხელ საარსებო წყაროების პროგრამების ფარგლებში - 0.5 ქულა მიღებული აქვს სარგებელი ნატურის სახით ორჯერ და მეტჯერ - 0 ქულა
მაქსიმალური ქულა		7

ბიზნეს გეგმები, რომლებიც მიიღებენ დადგენილ მინიმალურ ქულას ან მასზე მაღალს, დაექვემდებარება მონიტორინგს. ხოლო, ბიზნეს გეგმებზე, რომლებიც ვერ მიიღებენ დადგენილ ქულას, მიღებული იქნება გადაწყვეტილება ბიზნეს გეგმის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, აღმოჩნდა, რომ პირველადი შეფასების კრიტერიუმით შეფასებული გარემოება არ დადასტურდა, მონიტორინგის შედეგის გათვალისწინებით, დაკორექტირდება შეფასების პირველ ეტაპზე მინიჭებული ქულა.

მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, დეპარტამენტი წარმოადგენილ ბიზნეს გეგმებს გადასცემს კომისიას, რომელიც განიხილავს და აფასებს შეფასების კრიტერიუმებით და ავლენს გამარჯვებულებს.

ბიზნეს გეგმა ფასდება ბიზნეს გეგმაში მითითებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ანგარიშის გათვალისწინებით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით თითოეულ შეფასების კრიტერიუმზე დაიწერება შესაბამისი ქულა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კომისიის წევრი არ ეთანხმება ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილ ქულას, აღნიშნულის თაობაზე აისახება ოქმში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 17.

ბ) შეფასების კრიტერიუმებია:

N	კრიტერიუმი	მითითება	მაქს. ქულა	პუნქტი	ქულათა განმარტება
1	შესაძენად მოთხოვნილი ძირითადი საშუალებების საჭიროება	უნდა შეფასდეს, რამდენად სწორად არის განსაზღვრული (ან რამდენად დასაბუთებულია) ბიზნეს გეგმით საჭიროება და რამდენად შეესაბამება მოთხოვნილი მხარდაჭერა ამ საჭიროების გადაწყვეტას	2	0 1 2	<p>0 არ დგას მოთხოვნილი ძირითადი საშუალებების საჭიროება</p> <p>1 სახეზეა მოთხოვნილი ძირითადი საშუალებების საჭიროება, თუმცა, დაბალია მოთხოვნილი მხარდაჭერით საჭიროების გადაწყვეტის შესაძლებლობა</p> <p>2 სახეზეა მოთხოვნილი ძირითადი საშუალებების საჭიროება და მაღალია მოთხოვნილი მხარდაჭერით საჭიროების გადაჭრის შესაძლებლობა.</p>
<p>თუ განმცხადებელმა პირველ შეფასების კრიტერიუმში (შესაძენად მოთხოვნილი ნივთების საჭიროება) მიიღო 0 ქულა, კომისია აღარ აგრძელებს განაცხადის შეფასებას და მიიღება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.</p>					
2	ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და არამატერიალური რესურსები	უნდა შეფასდეს, აქვს თუ არა მეწარმეს ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის წარმართვის გამოცდილება, საჭირო ცოდნა და მატერიალური რესურსი	2	0 1 2	<p>0 განმცხადებელს/საწარმოს არ აქვს საქმიანობის წარმართვისთვის საჭირო ცოდნა, გამოცდილება და მატერიალური რესურსი</p> <p>1 განმცხადებელს/საწარმოს აქვს ზოგიერთი უნარი, მცირე გამოცდილება/ცოდნა და მცირე მატერიალური რესურსი საქმიანობის წარმართვისთვის</p> <p>2 განმცხადებელს/საწარმოს აქვს მატერიალური და არამატერიალური რესურსი საქმიანობის წარმართვისათვის</p>
3	შემოთავაზებული პროდუქციის/მომსახურების სახე	შეფასებული უნდა იქნეს, რამდენად ნათლად აქვს წარმოდგენილი განმცხადებელს დაგეგმილი პროდუქტი/მომსახურება, რომლის წარმოებასაც აპირებს, რამდენად ნათლად აქვს გაწერილი წარმოების ციკლი და წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიები/მეთოდები	3	0 - 1 0 - 1 0 - 1	<p>0 განმცხადებელს ნათლად აქვს წარმოდგენილი დაგეგმილი მომსახურება/პროდუქცია. მოლოდინი წარმოებასთან დაკავშირებით რეალურია.</p> <p>0 რეალურობით გაწერილია მომსახურების/პროდუქციის წარმოების ციკლი და წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიები/მეთოდები.</p> <p>0 საქმიანობა წარმოდგენს ახალს/ინოვაციურს.</p>

		დები. რამდენად ინოვაციურია მიდგომა და დაგეგმილი პროდუქტი/მომსახურება.			
მე-3 შეფასების კრიტერიუმში, კომისია აფასებს სამივე ნაწილს და თითოეულში უწერს შესაბამის ქულას.					
4	სამიზნე ბაზარი/სავარაუდო მომხმარებელი/გაყიდვების გეგმა/კონკურენცია	შეფასებული უნდა იქნეს, რამდენად აქვს შესწავლილი განმცხადებელს სამიზნე ბაზარი და სავარაუდო მომხმარებელი. რამდენად არის ჩამოყალიბებული გაყიდვების გეგმა და შესწავლილი კონკურენტული გარემო.	2	0	არ არის შესწავლილი სამიზნე ბაზარი, სავარაუდო მომხმარებელი და კონკურენტული გარემო. ასევე, რეალურობით არ არის ჩამოყალიბებული გაყიდვების გეგმა.
				1	განმცხადებელს მეტნაკლებად შესწავლილი აქვს სამიზნე ბაზარი, სავარაუდო მომხმარებელი და კონკურენტები. მეტნაკლებად ნათლად არის ჩამოყალიბებული გაყიდვების გეგმა.
				2	განმცხადებელს ნათლად აქვს შესწავლილი სამიზნე ბაზარი, სავარაუდო მომხმარებელი და კონკურენტები. ნათლად არის ჩამოყალიბებული გაყიდვების გეგმა.
5	რისკები	შეფასებული უნდა იქნეს, რამდენად სრულად აქვს განმცხადებელს შესწავლილი საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და რამდენად აქვს შემუშავებული ამ რისკების რეალური შემცირების სტრატეგია.	2	0	განმცხადებელს არ აქვს გააზრებული შესაძლო რისკები. შესაბამისად, არ აქვს ნაფიქრი მათ შემსუბუქებას ან/და თავიდან აცილებაზე.
				1	განმცხადებელს გააზრებული აქვს შემაფერხებელი გარემოებები, თუმცა არ აქვს ნაფიქრი ან/და არ გეგმავს გადადგას ნაბიჯები, მათ შემსუბუქებას ან/და თავიდან აცილებასთან დაკავშირებით
				2	განმცხადებელს გააზრებული აქვს შესაძლო რისკ(ებ)ი; იცის როგორ მოახდინოს რისკების შემსუბუქება ან/და თავიდან აცილება და გეგმავს ან/და ახდენს მათ შემსუბუქებას/თავიდან აცილებას
6	ბიზნესის განვითარების გეგმა	შეფასებული უნდა იქნეს, არის თუ არა ბიზნესის განვითარების გეგმა ნათელი, ბიზნესი სიცოცხლისუნარიანი, არის თუ არა	2	0	შემოთავაზებული საქმიანობის მდგრადობას სერიოზული საფრთხე ემუქრება
				1	ბიზნესი მეტნაკლებად სიცოცხლისუნარიანია, იკვეთება მისი ზრდის/გაფართოების შესაძლებლობა.

		ზრდის/გაფართოების გეგმა მოცემული და რეალური.		2	ბიზნესი სიცოცხლისუნარიანია, მაღალია მისი ზრდის/გაფართოების შესაძლებლობა.
7	დასაქმება	შეფასებული უნდა იქნეს რამდენად რეალურია დევნილის ან/და ეკომიგრანტის დასაქმება, პოზიცია, უფლება-მოვალეობები, სავარაუდო ანაზღაურება.	2	0	არარეალურია დევნილის/ეკომიგრანტის დასაქმება, არარეალურია/გაურკვეველია დასაქმებულის პოზიცია, უფლება-მოვალეობები/ დასაქმებულის სავარაუდო შრომითი ანაზღაურება რადიკალურად არასამართლიანია საწარმოში დასაქმებულ სხვა პირებთან მიმართებაში და არაგონივრულია.
				1	მეტნაკლებად შესაძლებელია დევნილის/ეკომიგრანტის დასაქმება; მეტნაკლებად რეალურობით წარმოდგენილია დასაქმებულის პოზიცია, უფლება-მოვალეობები დასაქმებულის სავარაუდო შრომითი ანაზღაურება, მეტნაკლებად შეესაბამება საწარმოში დასაქმებულ სხვა პირების სახელფასო მარჯას .
				2	რეალურია დევნილის/ეკომიგრანტის დასაქმება; ნათელია დასაქმებულის პოზიცია, უფლება-მოვალეობები; დასაქმებულის სავარაუდო შრომითი ანაზღაურება გონივრულია და საწარმოში არსებულ სახელფასო მარჯასთან შესაბამისია.
8	ბიზნეს გეგმის ფინანსური ნაწილი	შეფასებული უნდა იქნეს მეწარმის მიერ სწორად არის თუ არა მოცემული ფინანსური ანალიზი, რამდენად რეალურია ფინანსური გათვლები	2	0	ფინანსური ანალიზის ნაწილი არასწორადაა შედგენილი, არ იძლევა ანალიზის შესაძლებლობას ან/და ფინანსური გათვლები არარეალურია.
				1	ფინანსური ანალიზის ნაწილი მეტნაკლებად სწორად არის შედგენილი, ფინანსური გათვლები მეტნაკლებად რეალურია.
				2	ფინანსური ანალიზის ნაწილი სწორად არის შედგენილი, მორგებულია რეალობას და ფინანსური გათვლები ადეკვატურია.
მაქსიმალური ქულა			17		

გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე ეკონომიკური აგენტები (ჯამდება პირველადი შეფასების კრიტერიუმებით და წინამდებარე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმებით შეფასების შედეგად მიღებული ქულები). თუმცა, გამარჯვებულად ვერ გამოვლინდება განმცხადებელი, რომელიც „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების შეფასების შედეგად მიიღებს 8-ზე დაბალ ქულას. წარმოდგენილი ბიზნეს გეგმების გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია დადგენილი მინიმალური ქულის ზღვარი შეცვალოს. გადაწყვეტილების მიღების დროს, მხედველობაში იქნება მიღებული მხარდაჭერისთვის არსებული ფინანსური რესურსი.

ბიზნეს გეგმის შემოწმების/განხილვის შედეგად, გამოიცემა სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი: 1. ბიზნეს გეგმის განუხილველად დატოვების შესახებ; 2. ბიზნეს გეგმის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ და 3. ბიზნეს გეგმის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. აღნიშნული აქტი საჩივრდება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დეპარტამენტის მოთხოვნის შემთხვევაში, გამარჯვებულად გამოვლენილი მეწარმეები შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, ვალდებული არიან წარუდგინონ დეპარტამენტს 3 ინვოისი კომისიის მიერ დასაფინანსებლად განსაზღვრულ ნივთებზე, მახასიათებლების, მოდელებისა და ღირებულების მითითებით. ინვოის(ებ)ის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი უფლებამოსილია კომისიასთან შეთანხმებით, გააუქმოს ეკონომიკური აგენტის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე, სააგენტო განახორციელებს ნივთების შეძენას იმ მახასიათებლების მიხედვით, რომელიც აქვს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ნივთ(ებ)ს. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარის მიერ შესაძენად მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების ერთეულის ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, მისი შეძენის დაფინანსება განხორციელდება ვაუჩერისა და შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. თითოეულ საქონელზე/მომსახურებაზე გაიცემა თითო ვაუჩერი, მათ შორის ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ერთი გამარჯვებული განმცხადებლისთვის შესაძენია რამდენიმე საქონელი/მომსახურება, რომლის ერთეულის ღირებულება 1 000 ლარს არ აღემატება (გამონაკლისი შესაძლოა დაშვებული იქნეს თუ ერთი განმცხადებლისთვის შესაძენია რამდენიმე ერთგვაროვანი საქონელი/მომსახურება, რომლთა ჯამური ღირებულება არ აჭარბებს 1 000 ლარს). შეძენის შედეგად, შესაძლებელია თითოეულ ბენეფიციარისთვის შეძენილმა ნივთების ჯამურმა ღირებულებამ გადააჭარბოს თანხის პროგრამით განსაზღვრულ ზღვრებს, თუმცა, აღნიშნულმა გავლენა არ უნდა მოახდინოს პროგრამის ჯამურ ბიუჯეტზე. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ფასების ცვლილების გათვალისწინებით, შესაძენი ნივთების ღირებულება აჭარბებს პროგრამის ბიუჯეტს, სააგენტო უფლებამოსილია განიხილოს პროგრამის ბიუჯეტის ცვლილების საკითხი შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების არსებობის ფარგლებში.

გამარჯვებულ ეკონომიკურ აგენტსა და სააგენტოს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათ შორის ვალდებულება მინიმუმ 1 დევნილის/ეკომიგრანტის არანაკლებ 6 თვის ვადით საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმებისა და შრომითი ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია დააბრუნოს მიღებული ნივთები ან აანაზღაუროს მისი ღირებულება. იქიდან გამომდინარე, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, არ შეიძლება ჰყავდეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, გამარჯვების შემდეგ, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია შეიცვალოს სტატუსი.

3.4. პროგრამის გავრცელების არეალი

პროგრამის სამიზნე არეალია: სამეგრელოს, ზემო სვანეთის, იმერეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები.

3.5. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ხორციელდება 2022 წელს.

4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამისათვის დადგენილი ბიუჯეტია 200 000 ლარი, სადაც 100 000 ლარი პროექტის „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (EPIC)“ კონტრიბუციას, ხოლო 100 000 ლარი - სააგენტოს.

5. პროგრამის მონიტორინგი

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი 2 წლის განმავლობაში EPIC პროექტის მონიტორინგისა და შეფასების (M&E) გუნდთან კოორდინაციისა და შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს ბიზნეს გეგმით მოთხოვნილი ინვესტიციის საჭიროება, განხორციელებადობა და მდგრადობა. შემდგომი მონიტორინგი განხორციელდება მხოლოდ დაფინანსებულ ბენეფიციარებთან. მისი მიზანია, შემოწმდეს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ხელშეწყობის მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა.